კვალიფიციური სანერგე მეურნეობის სტატუსის მისანიჭებლად

სავალდებულო დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც გადმოგზავნილი უნდა იქნას სანერგე მეურნობის მწარმოებლების მიერ

1. **განცხადება - სანერგე მეურნეობის კვალიფიციურ სანერგე მეურნეობათა სიაში ჩასმის შესახებ.**

2. **კვალიფიციური სანერგე მეურნეობის რეესტრის განაცხადის ფორმა (ამ ფორმის შევსება სავალდებულოა ყველა სანერგე მეურნეობისთვის;**

3. **მიწის მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია** (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - საკუთრება/იჯარა/ხელშეკრულება). **(სავალდებულოა ყველა სანერგე მეურნეობისთვის);**

4. **სანერგეში დასაქმებული აგრონომის კვალიფიციურობის დამადასტურებელი დოკუმენტი** (დიპლომი/სერტიფიკატი/სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი). **(სავალდებულოა ყველა სანერგე მეურნეობისთვის);**

5. **სანერგე მეურნეობასა და აგრონომს შორის არსებული ხელშეკრულება** (დასაქმების თარიღის, აგრონომის მოვალეობების მითითებით). **(სავალდებულოა ყველა სანერგე მეურნეობისთვის);**

6. **მიმდინარე წლის** სანერგიდან აღებული ნიადაგის ანალიზის დოკუმენტის ასლი ვირუსგადამტანი ნემატოდებზე *(Xiphinema diversicaudatum, Longidorus elongatus, Longidorus macrosoma, Longidorus attennuatus*). ანალიზი აღებული უნდა იქნას საძირეთა სადედე ბაღიდან და სანერგიდან.

   ანალიზის ჩასატარებლად მიმართეთ, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი 0159, ვასო გოძიაშვილის ქ. # 65, ტელეფონის ნომერი: +995 322 530968, contact@lma.gov.ge). დასავლეთ საქართველოში არსებულ სანერგე მეურნეობებს შეუძლიათ მიმართოთ: "შპს ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკის ცენტრს", მისამართი: ოზურგეთის მუნიციპლალიტეტი, - სოფ. დაბა ანასეული, მეცნიერების ქუჩა № 9. **(სავალდებულოა ყველა სანერგე მეურნეობისთვის);**

7. **საკარანტინო მავნე ორგანიზმებისა და რეგულირებადი არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებზე და ყველა სხვა სახის ლაბორატორიული ანალიზის შედეგები, რაც ჩატარდა თქვენს სანერგე მეურნეობაში.**

   ანალიზის ჩასატარებლად მიმართეთ, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი 0159, ვასო გოძიაშვილის ქ. # 65, ტელეფონის ნომერი: +995 322 530968,

contact@lma.gov.ge). დასავლეთ საქართველოში არსებულ სანერგე მეურნეობებს შეუძლიათ მიმართოთ: "შპს ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკის ცენტრს", მისამართი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, - სოფ. დაბა ანასეული, მეცნიერების ქუჩა № 9. +995599928761 (სავალდებულოა ყველა სანერგე მეურნეობისთვის);

8. **მიმდინარე წელს ჯიშური ერთგვაროვნების დასადგენად თქვენს სანერგე მეურნეობაში ჩატარებული სანამყენე, საძირეთა, მზა ნერგის გამრავლების ნაკვეთებზე აპრობაციის შედეგები** *(გთხოვთ, მიუთითოთ ჩატარებული აპრობაციის თარიღი მცენარის ვეგეტაციასთან შესაბამისობაში)* (იხ. დანართი: აპრობაციის აქტები 1, 2, 3 და აქტი 4 შემაჯამებელი) (სავალდებულოა ყველა სანერგე მეურნეობისთვის);

9. **სარგავი მასალის მიკვლევადობისათვის საჭირო ყველა სახის დოკუმენტაცია** (ინვოისი, ხელშეკრულება, მწარმოებლის დეკლარაცია, მცენარის პასპორტი, ფიტოსანიტარული სერტიფიკატები). (სავალდებულოა ყველა სანერგე მეურნეობისთვის);

10. **სარგავი მასალის მიკვლევადობის დოკუმენტაციის არ ქონის შემთხვევაში** თქვენს მიერ ივსება დეკლარაცია სარგავი მასალის მიკვლევადობის შესახებ (იხ. დანართი 3 დეკლარაცია 1 - სარგავი მასალის ველურად (ტყე), მოსახლეობისგან მოპოვების/შეგროვების შემთხვევაში და დეკლარაცია 2 სარგავი მასალის, კერძო პირისგან/კომპანიისგან შეძენის შემთხვევაში).

11. შექმნილია ჟურნალები, რომელიც დაგეხმარებათ თქვენს სანერგე მეურნეობაში ჩატარებული სამუშაოების დაფიქსირებაში. ჟურნალების წარმოება არის სავალდებულო, რათა სერტიფიცირების სამსახურმა მოახდინოს ჩანაწერების ნამდვილობის დადასტურება თქვენს სანერგე მეურნეობაში ვიზიტისას.

    ჟურნალები - წარმოადგინეთ წინა წლის და მიმდინარე წლის მონაცემები.

    სარგავი მასალის მიმოქცევის, სანერგეში ჩატარებული სამუშაოების და ფიტოსანიტარული დათვალიერების ჟურნალები (იხ. დანართები: სანერგეში ჩატარებული სამუშაოების ჟურნალი 1, სარგავი მასალის შიდა მოძრაობის ჟურნალი 2, ვიზუალური დათვალიერების ჟურნალი 3). (სავალდებულოა ყველა სანერგე მეურნეობისთვის);

12. **სქემატური ნახაზები** - სანამყენე სადედე ბაღის, საძირეთა სადედე ბაღის, მზა ნერგის გამრავლების ნაკვეთების. ნახაზზე წარმოდგენილი უნდა იყოს ჯიშების მიხედვით რიგების რაოდენობა, მცენარეთა რაოდენობა. (სავალდებულოა ყველა სანერგე მეურნეობისთვის);

13. **მოკლედ აღწერეთ რა ინფრასტრუქტურას ფლობს თქვენი სანერგე მეურნეობა** (საწყობი, მაცივარი, და სხვა). (სავალდებულოა ყველა სანერგე მეურნეობისთვის);

14. წინა, მიმდინარე და მომდევნო წლების წარმოების გეგმა - სანერგეში წარმოებული ნერგის რაოდენობის მოძრაობის მიხედვით (დამყნობილი, გახარებული და გაყიდული ნერგების რაოდენობის მიხედვით).

სავალდებულოა, სანერგე მეურნეობაში თქვენს მიერ შესრულებული ნებისმიერი საქმიანობა, დადასტურებული იქნას ფოტო ან ვიდეო მასალით.

გამოგზავნილი დოკუმენტაცია ზუსტად უნდა ასახავდეს თქვენი სანერგე მეურნეობის რეალურ სურათს.

ნებისმიერი დოკუმენტი, სადაც მითითებულია ხელმოწერა, თქვენს მიერ უნდა იქნას ხელმწერით დადასტურებული.

განაცხადის ფორმების მისაღებად მოგვმართეთ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეილზე - info@srca.gov.ge